

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონპროექტზე „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლამ გამოიწვია ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის გაუქმება, შესაბამისად აუცილებელი გახდა „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონიდან ადგილობრივი მმართველობის ტერმინის ამოღებაც.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი.

კანონპროექტის მიზანია კანონი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან.

ა.გ. კანონპროექტის არსი.

კანონპროექტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლამ გამოიწვია ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტის გაუქმება, ამდენად კანონპროექტით კანონიდან ხდება ადგილობრივი მმართველობის ტერმინის ამოღებაც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ჰგ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

გ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

გ.ბ. კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული დეპარტამენტი.

გ.გ. კანონპროექტის ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.